

საქართველოს მუნიციპალიტეტების  
ერთიანი ეროვნული შეფასება  
(2019)





[www.lsgindex.org](http://www.lsgindex.org)




ადგილობრივი  
თვითმმართველობის  
ინდექსი


2019 წლის შედეგები



საკრებულოს საშუალო ქულა




საერთო საშუალო ქულა




მერიის საშუალო ქულა

2017 წლის შედეგებთან შედარებით, გაუმჯობესების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები




# საბარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება



# ელექტრონული მმართველობა







ადგილობრივი  
თვითმმართველობის  
ინდექსი

## ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი მომზადდა კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ.

სრული ანგარიში იხილეთ ვებგვერდზე:  
[www.lsgindex.org](http://www.lsgindex.org)

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით მომზადდა. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.



### ავტორები:

გიორგი ტოკლიკიშვილი  
თეონა ტურაშვილი

კოკა კილურაძე  
თამარ ნასყიდაშვილი

გოგა თუშურაშვილი

© ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, 2019.  
ყველა უფლება დაცულია. ანგარიშის გადაბეჭდვა შესაძლებელია ავტორებთან შეთანხმებით.

## 2019 ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებაში მონაწილეობდნენ:

ნინო ხუხუა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
დავით სალარიძე	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
მაკა ცერცვაძე	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA)
მარიკა ნანიტაშვილი	ასოციაცია „დეა“
ბაკურ გოგობია	ასოციაცია „დეა“
გიორგი ანდლულაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
ჯაბა ნათენაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
გიორგი აბულაძე	მწვანე კავკასია
ზურა ახმეტელი	მწვანე კავკასია
ნათია აფხაზავა	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი - ბათუმი (CSI)
მაია ბიძინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ნინო გოგინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ლევან ხინთიბიძე	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
ირაკლი პაპავა	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
სალომე კერესელიძე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ჯონი კვინიკაძე	კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი (CTC)
მამუკა ისკანდარაშვილი	კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი (CTC)
ავთო თავდიშვილი	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC)
მაგდა გმირიშვილი	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC)

## ინდექსის შესახებ

2016-2017 წლებში, კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი**. მისი მიზანია, საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების გზით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა და კორუფციის რისკების შემცირება. ინციატივა მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდის მიერ.

**ინდექსის** მიხედვით, პირველი ერთიანი ეროვნული შეფასება 2017 წელს განხორციელდა. ორი წლის შემდეგ, 2019 წელს, ჩატარდა რიგით მეორე შეფასება, რომლის ძირითადი მიგნებები, ტენდენციები და რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისგან, რომელიც შეფასების 98 კრიტერიუმს აერთიანებს.



### **I ბლოკი. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.**

მოიცავს 11 ქვებლოკსა და 52 კრიტერიუმს.



### **II ბლოკი. ელექტრონული მმართველობა.**

მოიცავს 4 ქვებლოკსა და 27 კრიტერიუმს.






### **III ბლოკი. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.**

მოიცავს 2 ქვებლოკსა და 19 კრიტერიუმს.

მუნიციპალიტეტების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება (ბლოკი 1) და ელექტრონული მმართველობა (ბლოკი 2), ძირითადად, მათი ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის საფუძველზე ფასდება. ხოლო მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების (ბლოკი 3) შეფასება ხდება მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის გზით და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილზე დაკვირვებით. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალური ორგანო არ გასცემს ამა თუ იმ კრიტერიუმის შეფასების მიზნით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, მოცემულ კრიტერიუმში მას ავტომატურად ეწერება შეფასების მინიმალური ქულა.

გარდა ამისა, ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების მიზნით გამოიყენება შემდეგი დამატებითი საშუალებები:

-  მუნიციპალურ ორგანოსთან სატელეფონო კომუნიკაცია;
-  „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტების შესწავლა;
-  სხვა ოფიციალური (ონლაინ) წყაროების გამოყენება, რომლებიც კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით ფასდება მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანო.

2019 წელს, მუნიციპალური ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება განხორციელდა 2018 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 15 თებერვლის პერიოდში. შეფასდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა აჭარის, ახალგორის, ერედვის, თიღვისა და ქუთაის მუნიციპალიტეტებისა. შემფასებლის სტატუსით პროცესში მონაწილეობა მიიღო 7 რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის 18-მა წარმომადგენელმა.

შეფასება განხორციელდა ონლაინ პლატფორმის - [WWW.LSGINDEX.ORG](http://WWW.LSGINDEX.ORG) - გამოყენებით.

პირველადი შეფასებების შემდეგ, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პლატფორმაზე რეგისტრაციის გავლით, გაცნობოდნენ საკუთარი შეფასების შედეგებს და გამოეთქვათ შენიშვნები. პროექტის გუნდმა ყველა დასაბუთებული შენიშვნა გაითვალისწინა შეფასების საბოლოო ანგარიშში.

წინამდებარე ანგარიშში ასახულ მიგნებებსა და რეკომენდაციებზე მუშაობისას მოხდა სფეროს ექსპერტთა აზრის გამოკითხვა ფოკუს ჯგუფის მეთოდით, იმათთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს ცვლილებები მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მხრივ.

პირველ (2017) და მეორე (2019) შეფასებებს შორის, დაახლოებით 2 წლიან პერიოდში, თვითმმართველობებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება გამოიყოს, რომელსაც ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ.



# ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმები 2017-2019 წლებში

წინამდებარე თავში მოკლედ არის მიმოხილული ინდექსის პირველ (2017) და მეორე (2019) შეფასებებს შორის პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მომხდარი ძირითადი ცვლილებები, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის განსხვავებული გარემო, რაც პირველი და მეორე შეფასებისას არსებობდა.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების დამატებითი გარანტიები შექმნა, რაც მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, აღიარებულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით; დადგინდა სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის ვალდებულება; აღიარებულ იქნა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის უფლება; ასევე, დადგინდა სახელმწიფოს მხრიდან კონსულტაციების გამართვის ვალდებულება თვითმმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

2017 წელს გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნები, რასაც წინ უსწრებდა 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმება, დამაჯერებელი არგუმენტების და, რაც მთავარია, საზოგადოებასთან სათანადო განხილვებისა და კონსულტაციების გარეშე.

პარალელურად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიაზე**. დოკუმენტის პროექტში, შედეგების შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გათვალისწინებულია „მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებისა და პრაქტიკის მაჩვენებლები ეროვნულ რეიტინგში, რომლებიც მოიცავს მაღალმთიან დასახლებებს“. იგულისხმება **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის** მიხედვით ჩატარებული ერთიანი ეროვნული შეფასების შედეგად შემდგარი მუნიციპალიტეტების რეიტინგი, რაც **ინდექსის** სტაბილურობაზე და სანდოობაზე მიუთითებს.

2018 წლიდან, მთავრობამ დაიწყო **დეცენტრალიზაციის საშუალოვადიან სტრატეგიაზე** მუშაობა, რომლის ერთ-ერთი მიზანი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვაა. როგორც სტრატეგიის პროექტიდან ჩანს, ამ მიზნით, მომდევნო წლებში იგეგმება კანონმდებლობის გადასინჯვა, მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული ფორმების დახვეწა და ღია მმართველობის პროგრამის ხელშეწყობა. თუმცა, ამ ცვლილებების გავლენის შეფასება უკვე მომდევნო წლებში იქნება შესაძლებელი.

დღეისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მუნიციპალიტეტის საკუთრებად გამოცხადებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების, ასევე სასოფლო მიწების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის საკითხი.

ასევე, გამონწვევაა თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება. 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ნაწილი აღარ წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობას, რაც საგადასახადო შემოსავლების დივერსიფიკაციის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამავე წლიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობად, გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად, განისაზღვრა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული წილი. მიუხედავად ამ ცვლილებით გამონწვეული გადასანაწილებელი თანხების ჯამური მოცულობის ზრდისა (დაახლოებით 125 მლ. ლარი 2019 წლისთვის), მუნიციპალიტეტების გათანაბრების რეალური მექანიზმის დანერგვა განსხვავებული შემოსულობების და/ან საჯარო მომსახურებებზე განეული განსხვავებული დანახარჯების კომპენსაციის მიზნით, კვლავ გამონწვევად რჩება.

## მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2019 წლის შეფასება – ძირითადი მიზნები

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2019 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი 28%-ია, რაც 7%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (21%).

აღნიშნული შედეგის გაუმჯობესება მერიების და საკრებულოების მაჩვენებლების პროპორციულმა ზრდამ განაპირობა. 2019 წელს, 2017 წელთან შედარებით, მერიების საშუალო შედეგი 19%-დან 25%-მდე გაიზარდა, ხოლო საკრებულოების 24%-დან 31%-მდე. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა 2017 წლის შემდეგ, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით, გარკვეული პროგრესი განიცადეს. თუმცა, მაღალ სტანდარტებთან მიახლოება, მათი მხრიდან, რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრესი, რაც მუნიციპალიტეტებმა განიცადეს შეფასებებს შორის პერიოდში, სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, ბოლო ადგილობრივი არჩევნების შედეგად არჩეულ თანამდებობის პირებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ 2017 წლის ინდექსის შედეგებს, მეთოდოლოგიას, შეფასებით გამოვლენილ როგორც კარგ პრაქტიკებს, ასევე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს და გაეთვალისწინებინათ პირველი შედეგებით გამოვლენილი ხარვეზები.

ასევე, აღინიშნა საერთაშორისო დონორების დახმარების პროგრამების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეული ინიციატივების/პროექტების დადებითი გავლენა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებზე, მათ შორის, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში ჩართულ მუნიციპალიტეტებზე, რაც დადებითად აისახა ინდექსის საერთო შედეგებზეც.

ცალკე გამოიყო **ინდექსის** ფაქტორი, როგორც მოტივატორი მუნიციპალიტეტებისთვის, გაუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა ერთიანი ეროვნული შეფასების შედეგებში და მაღალი პოზიცია დაიკავეს მუნიციპალიტეტების ერთიან რეიტინგში. ამავდროულად, **ინდექსის** არსებობამ, ხელი შეუწყო, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, ვიდრე ამას საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს.

## i

### 1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- 2019 წლის შეფასებით, მუნიციპალიტეტების საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი 25%-ს შეადგენს, რაც 6%-ით აღემატება 2017 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს.
- 40-ზე მეტი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში გაუმჯობესებულია ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ხარისხი. თუმცა, მუნიციპალიტეტების დაახლოებით 40% კვლავ ვერ ცდება ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 20%-იან ზღვარს.
- ადგილობრივ თვითმმართველობებში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 61% დაფიქსირდა (ბათუმის მუნიციპალიტეტი), რაც 14%-ით აღემატება 2017 წლის საუკეთესო მაჩვენებელს (47%). სულ 8 მუნიციპალიტეტმა გადააჭარბა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 50%-იან ზღვარს.
- წინა შეფასების შედეგებთან მიმართებით, მუნიციპალიტეტებმა ყველაზე მეტად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირების, დასახლების საერთო კრების სხდომის ოქმების და მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა გააუმჯობესეს.
- მუნიციპალიტეტები ყველაზე უკეთესად კვლავ ზოგადი ტიპის ინფორმაციას აქვეყნებენ: საკონტაქტო ინფორმაცია (71%), თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია (62%), ორგანიზაციული სტრუქტურის და ფუნქციების აღწერა (54%).

- სხვადასხვა მუნიციპალიტეტმა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც წინა შეფასების პერიოდში არცერთი მუნიციპალური ორგანოს ვებგვერდზე არ იყო წარმოდგენილი. მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი, რეკლამის განთავსებაზე განუვლი ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვა.
- წინა შეფასების მსგავსად, ყველაზე ცუდი პრაქტიკა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების და წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან მმართველობაში მყოფი იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობაა. ადმინისტრაციული ხარჯების ჯამური მონაცემები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, რაც ვერ პასუხობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტს.
- ერთადერთი რეგიონი, სადაც მუნიციპალიტეტების საერთო პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი 3%-ით გაურესდა სამცხე-ჯავახეთია.
- 21 მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს პროაქტიულად საერთოდ არ აწვდის რაიმეს ტიპის ინფორმაციას თუნდაც ერთი მუნიციპალური სერვისის შესახებ.



## 2. ელექტრონული მმართველობა

- 2019 წლის შეფასებით, მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 32%-ს შეადგენს, რაც 7%-ით აღემატება 2017 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს.
- საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის საშუალება მუნიციპალური ვებგვერდების 20%-ს გააჩნია, რაც 8%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მონაცემს (12%).
- საგრძნობლად გაუმჯობესებულია ონლაინ პეტციის შესაძლებლობა. 2019 წლის მონაცემებით, აღნიშნული კრიტერიუმის ქულა 40%-ია, რაც 15%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვებგვერდების ტექნიკური მახასიათებლების ხარისხი 2019 წლის შეფასებით გაუმჯობესდა 34-დან 43%-მდე. მცირედით გაუმჯობესებულია ასევე სოციალურ ქსელებში მუნიციპალური ორგანოების აქტიურობის მაჩვენებელიც 61-დან 71%-მდე.

- 2019 წლის მონაცემებით, მუნიციპალური ვებგვერდების 70% ადაპტირებულია მობილურ პლატფორმებთან, რაც 22%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.
- მუნიციპალური ორგანოების ოფიციალური ვებგვერდების დომენური მისამართების 75%, სტანდარტის შესაბამისად, ბლოვდება GOV.GE-ზე, რაც 15%-ით აღემატება 2017 წლის მონაცემს (60%). მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემად რჩება საჯარო მოხელის ოფიციალური ელფოსტის მისამართის შესაბამისობა მუნიციპალური ორგანოს ოფიციალური ვებგვერდის დომენურ სახელთან.
- იგივე მდგომარეობაა 2019 წელს მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით. ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების უმრავლესობა საკუთარ ვებგვერდებს არ იყენებს იმისთვის, რომ მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია კანონით დადგენილი მონაწილეობის ფორმების შესახებ. **მწირია მონაწილეობის ელექტრონული ფორმების პრაქტიკაც.** რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვებგვერდებზე მუნიციპალური სერვისები ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი არ არის.



### 3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება

- 2019 წლის შეფასებით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების საერთო მაჩვენებელი 2017 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით 5%-ით გაიზარდა, ძირითადად ისეთი კრიტერიუმების ხარჯზე, როგორცაა საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება (მეტწილად დიდი ქალაქების ხარჯზე, თუმცა არიან წარმატებული სათემო მუნიციპალიტეტებიც); საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; მუნიციპალიტეტის პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა, რომელიც 49%-დან (2017 წ.) 64%-მდე (2019 წ.) გაიზარდა.

- საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებს. აღსანიშნავია ბათუმის მუნიციპალიტეტი, რომელიც ერთადერთია, სადაც ასეთი საბიუჯეტო პროგრამა გაჩნდა.
- მიუხედავად იმისა, რომ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნა კანონის ვალდებულებაა, 11 მუნიციპალიტეტში ისინი დღემდე არ შექმნილა. ხოლო, სადაც შექმნილია, დიდ ნაწილში კვლავ არასრულფასოვნად ფუნქციონირებს. არ ხდება საბჭოსთვის მერის მიერ კანონით გათვალისწინებული პროექტების რეგულარული წარდგენა, არ არის წახალისებული საბჭოს საკუთარი ინიციატივების განხილვა; ნაკლებად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა.
- გამონწვევად რჩება დასახლების საერთო კრების გამართვის საკითხი. წინა შეფასების შედეგებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 10%-დან 9%-მდე შემცირდა, რაც სავარაუდოდ, ამ მიმართულებით, ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საპროექტო აქტივობების შემცირებას უკავშირდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც ჩატარდა კრებები, უმნიშვნელოდ, მაგრამ გაზრდილია მერის მხრიდან სავალდებულო საკითხების წარდგენის მაჩვენებელიც.
- კვლავ გამონწვევად რჩება მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, მათ შორის, ბიუჯეტთან დაკავშირებული, საჯარო განხილვების გამართვის პრაქტიკა. მუნიციპალიტეტების 65%-ში, ბოლო ერთი წლის მანძილზე, არცერთი ასეთი განხილვა არ ჩატარებულა.
- 2017 წელთან შედარებით, გაუარესდა როგორც მერების, ისე საკრებულოს წევრების ანგარიშების საჯარო მოსმენების პრაქტიკა. როგორც წესი, არსებობს წერილობითი ანგარიშები, ასევე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, რომელიც საკრებულოს წარედგინება, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში კანონით დადგენილი მოსმენები არ ტარდება. ხოლო იქ, სადაც ხდება ანგარიშის მოსმენა, თითქმის ვერ აკმაყოფილებს კარგი პრაქტიკით დამკვიდრებულ სტანდარტებს.

ცალკე გამოვყოფთ იმ მიგნებებს და ტენდენციებს, რაც უშუალოდ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს უკავშირდება

## აღმასრულებელი ორგანოები – მერიები

- ბოლო ორი წლის განმავლობაში, შეფასებული 64 მუნიციპალიტეტის მერიიდან მხოლოდ 12-მა გამოაქვეყნა (თუმცა, არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, შრომის ანაზღაურების ხარჯების მონაცემები გამოაქვეყნა 10-მა, სატელეკომუნიკაციო ხარჯები 11-მა და წარმომადგენლობითი ხარჯები მხოლოდ 5-მა მათგანმა.
- ოდნავ გაუმჯობესდა მერიების მიერ იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი (8%-დან 11%-მდე). თუმცა, კვლავაც პრობლემურია იურიდიული პირების წლიური ანგარიშების, განხორციელებული შესყიდვების, აუდიტების და დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაციის პროექტიული ხელმისაწვდომობა.
- აღმასრულებელი ორგანოების 66%-მა საკუთარ ვებგვერდზე არ გამოაქვეყნა ინფორმაცია მიმდინარე ტენდერების შესახებ. ამ კრიტერიუმში მაჩვენებელი გაუარესებულია, რადგან 2017 წელს მერია/გამგეობების 40% არ აქვეყნებდა ამავე ტიპის მონაცემებს.
- აღმასრულებელი ორგანოების 50%-ზე მეტი კვლავაც არ აქვეყნებს მერის წლიურ ანგარიშებსა და მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებს.
- შედარებით გაუმჯობესდა მერიების ვებგვერდზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩატარებული სხდომებისა (14-დან 22%-მდე) და გამართული დასახლების საერთო კრებების (12-დან 30%-მდე) ოქმების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები.
- ქვეყნის აღმასრულებელმა ორგანოებმა წინა წლებთან შედარებით გააუმჯობესეს მოსახლეობის ინფორმირების ხარისხი, მრჩეველთა საბჭოების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თვალსაზრისით (5%-დან 16%-მდე).
- 2017 წელთან შედარებით, მკვეთრად არის გაუმჯობესებული საჯარო ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის მაჩვენებელიც. კერძოდ, გაიზარდა 14-დან 22%-მდე.



- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები, 2017 წელთან შედარებით (20%), უფრო აქტიურად იყენებენ ონლაინ გამოკითხვის ფორმებს (50%).
- 2017 წლის შეფასების დროს აღმასრულებელ ორგანოებში სამოქალაქო ინიციატივის შეფასების მაჩვენებელი 0% იყო, რაც მიმდინარე წლის შეფასებაში 5%-ია.
- კვლავაც გამოწვევაა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე ცალკეული ინფორმაციის რამდენიმე უცხო ენაზე არარსებობა. 2017 წლის შეფასებით, მხოლოდ 14 მუნიციპალიტეტს ჰქონდა ვებგვერდის რამდენიმე განყოფილება თარგმნილი სხვა ენაზე, 2019 წლის მონაცემებით კი 16-ს.
- თითქმის არ ხდება მოქალაქეთა მომსახურების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. 2019 წლის მონაცემებით, 64 მერიიდან ონლაინ ნებართვებს მხოლოდ 2 იყენებს, SMS შეტყობინებებს კი 5.
- მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამის არსებობა მხოლოდ ქ. ბათუმის და ნაწილობრივ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ფიქსირდება.
- ზოგადი ტენდენციაა, რომ დიდ ქალაქებში (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) გაიზარდა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ეფექტიანობა. მუნიციპალიტეტების მერების მხრიდან 12%-დან 20%-მდე გაიზარდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის კანონით სავალდებულო საკითხების წარდგენის მაჩვენებელი. ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბჭოს წევრთა კანონით დადგენილი პროპორცია (54%-დან 70%-მდე), ასევე 14%-დან 24%-მდე არის გაზრდილი მერის მხრიდან საბჭოს საინფორმაციო მხარდაჭერა.
- კვლავ პრობლემად რჩება მერის ანგარიშების საჯარო მოსმენის გამართვა. აღნიშნული მაჩვენებელი 24%-დან 17%-მდე შემცირდა.
- კანონმდებლობის მიღმა დადგენილი მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების გამოყენების მიმართულებით ლიდერობს სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პრაქტიკა შეწყდა. ქალაქ ბათუმში სატესტო რეჟიმში დაიწყო მონაწილეობის შედარებით ახალი ფორმის გამოყენება „საუბნო კავშირები“, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა გაერთიანებას წარმოადგენს.

- 45%-დან 66%-მდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის პროექტების შესახებ მოსახლეობის პერიოდული ინფორმირების შემთხვევები და პერიოდულობა.

## წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულო

- ბოლო ორი წლის განმავლობაში, შეფასებული 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მხოლოდ 17-მა გამოაქვეყნა (ისიც არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, წარმომადგენლობით ხარჯებზე მონაცემები მხოლოდ 4-მა მათგანმა გაასაჯაროვა. შრომის ანაზღაურების, სანჯავისა და სატელეკომუნიკაციო ხარჯების მონაცემები კი ხელმისაწვდომი იყო 12 საკრებულოს შემთხვევაში.
- 2019 წელს პრობლემად რჩება დაგეგმილი სხდომების შესახებ მოქალაქეთა წინასწარი ინფორმირება. საკრებულოების 70%-ზე მეტი ისევ არ ახდენს დაგეგმილი სხდომების შესახებ მოქალაქეთა წინასწარ ინფორმირებას, ხოლო დარჩენილი 30%-დან დიდი უმრავლესობა ამას არასრულყოფილად აკეთებს. თუმცა, ინფორმაციის გამოქვეყნების ხარისხი და გამოქვეყნების დრო იმ საკრებულოებში, რომელიც აქვეყნებს ინფორმაციას 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 11-დან 27%-მდე.
- 64 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოდან 29-მა გამოაქვეყნა 2018 წელს ჩატარებული სხდომის ოქმები. ამათგან მხოლოდ 11-მა საკრებულომ ონლაინ გახადა ხელმისაწვდომი ყველა ჩატარებული სხდომის ოქმი, დანარჩენის შემთხვევაში კი აკლდა ცალკეული სხდომების დოკუმენტები.
- პრობლემად რჩება საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება. 64 საკრებულოდან ისევ 6 ახერხებს სხდომების პირდაპირ გადაცემას.
- მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მხოლოდ მინიმალური, ფორმალური გარანტიებია შექმნილი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, როგორც საკრებულოს, ისე, საკრებულოს კომისიის სხდომებში.

- საკრებულოების სხდომათა დარბაზებში გაუმჯობესებულია მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება მოქალაქეთა დაბალი მოტივაცია, დაესწრონ საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებს.
- კვლავ პრობლემად რჩება საკრებულოს წევრების ანგარიშების საჯარო მოსმენის გამართვა. აღნიშნული მონაცემი 27%-დან 15%-მდე შემცირდა.
- 2017 წელთან შედარებით, 54%-დან 71%-მდე გაიზარდა საკრებულოების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მონოდეების მაჩვენებელი.

## 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შედეგები


### რეიტინგი მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტების 2019 წლის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო შედეგი, მიუხედავად გარკვეული ზრდის ტენდენციისა, კვლავ დაბალი რჩება - 28%. მერიების საშუალო შედეგია - 25%, ხოლო საკრებულოების - 31%.

შეფასების შედეგების მიხედვით, 2019 წლის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი


გამოვლინდა. 100%-იან შეფასების სკალაზე მას 61%-იანი შედეგი აქვს, რაც 11%-ით აღემატება 2017 წლის საუკეთესო შედეგის მქონე რუსთავის მუნიციპალიტეტს. ბათუმთან ერთად, გამჭვირვალობის რეიტინგის პირველ ხუთეულში არიან რუსთავის (57%), ლაგოდეხის (56%), ზუგდიდის (55%) და თეთრიწყაროს (52%) მუნიციპალიტეტები.

## 2019 წლის საუკეთესო შედეგების მქონე მუნიციპალიტეტები




რაც შეეხება 2019 წლის რეიტინგის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე მუნიციპალიტეტებს, მათ შორის არიან ახალქალაქის (6%), ნინოწმინდის (7%), ასპინძის (7%), ადიგენის (8%) და სამტრედიის (9%) მუნიციპალიტეტები. ვერცერთმა მათგანმა რეიტინგის 10%-იან ზღვარს ვერ მიაღწია.

## 2019 წლის ყველაზე დაბალი შედეგების მქონე მუნიციპალიტეტები




## შედგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუარესების მქონე მუნიციპალიტეტები




## რეიტინგი მუნიციპალური ორგანოების მიხედვით

**მერიების** საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 25%-ია. ისევე როგორც მუნიციპალიტეტების საბოლოო (აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეჯერებული შედეგები) შეფასებაში, საუკეთესო შედეგების მქონე აღმასრულებელი ორგანოების სათავეში აქაც ქალაქ ბათუმის მერიაა 63%-ით. შემდეგ მოდის რუსთავის (57%), თეთრიწყაროს (56%), ზუგდიდის (54%) და ჩხოროწყუს (54%) მერიები. ყველაზე დაბალი შედეგები კი ახალქალაქის (4%), ნინოწმინდის (5%), ასპინძის (6%), ადიგენის (8%), სამტრედიის (8%) და თიანეთის (8%) მერიებს აქვთ.

## 2019 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე მერიები




## შედეგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუარესების მქონე მერიები




**საკრებულოების** შეფასების საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 31%-ია, რაც 6%-ით აღემატება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების შეფასების საშუალო მაჩვენებელს. გამტკიცრვალობის და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგი ლაგოდეხის საკრებულომ აჩვენა - 87%, შემდეგ მოდის ოზურგეთის (64%), წალენჯიხის (59%), ბათუმის (58%), რუსთავის (56%) და ზუგდიდის (56%) საკრებულოები. ყველაზე დაბალი შედეგები დაფიქსირდა ქარელის (5%), ადიგენის (9%), ასპინძის (9%), ნინოწმინდის (10%), სამტრედიის (10%), შუახევის (10%) და ქარელის (4%) საკრებულოების შემთხვევაში.

## 2019 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე საკრებულოები




## შედეგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუარესების მქონე საკრებულოები



## მთიანი დასახლებების მუნიციპალიტეტები

ცალკე გამოვყავით მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების შედეგები, ვინაიდან მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის პროექტში მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის მაჩვენებელი ერთ-ერთ ინდიკატორად არის გათვალისწინებული. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (43) საშუალო მაჩვენებელი 2019 წელს 11%-ით ჩამორჩება დანარჩენი მუნიციპალიტეტების (21) საშუალო მაჩვენებელს. ხოლო გაუმჯობესების მაჩვენებელი 2017 წლიდან დღემდე, 2-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე არამაღალმთიან მუნიციპალიტეტებში.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების  
საშუალო შედეგები




## მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები თემატიკის მიხედვით

მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი შეფასების 3 თემატური ბლოკის მიხედვით ასე გადანაწილდა: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 25%; ელექტრონული მმართველობა - 32%; მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება - 29%. წინა, 2017 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით, სამივე მიმართულებით თითქმის პროპორციული, 6-7 პროცენტით გაუმჯობესება დაფიქსირდა.




## 2017 და 2019 წლების შედეგების შედარება თემატიკის მიხედვით





ყველაზე დაბალი საშუალო შედეგი - 25% - კვლავაც საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიმართულებით დაფიქსირდა. ამ თემატურ ბლოკში შეფასების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა, 2017 წლის შეფასების მსგავსად, კვლავაც სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯისა და მუნიციპალური იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალმა მაჩვენებლებმა იქონია (შესაბამისად, 7% და 11%). შედარებით უკეთესი სურათია, აღნიშნულ ბლოკში, მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა (50%) და მუნიციპალური აქტების (40%) პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით. საგულისხმოა, რომ გაუმჯობესების ყველაზე დიდი მაჩვენებელი სხდომების ოქმებისა (+13%) და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მონაცემების (+12%) გამოქვეყნებაში დაფიქსირდა. მაშინ როცა, თითქმის უმნიშვნელო დადებითი ცვლილება მოხდა მუნიციპალური სერვისების (+2%), იურიდიული პირებისა (+3%) და მუნიციპალური ქონების (+5%) შესახებ მეტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

## მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიხედვით 2017 და 2019 წლებში



დანარჩენი ორი თემატური ბლოკიდან, ყველაზე მაღალი საშუალო შედეგი დაფიქსირდა **ელექტრონული მმართველობის** სფეროში - 32%. როგორც 2017 წლის შეფასებისას, ამ შემთხვევაშიც, საბოლოო შედეგზე პოზიტიური გავლენა იქონია მუნიციპალიტეტების მიერ სოციალური ქსელების გამოყენების და ვებგვერდების ტექნიკური გამართულობის კუთხით დაფიქსირებულმა შედარებით მაღალმა მაჩვენებლებმა.

## მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები ელექტრონული მმართველობის მიხედვით 2017 და 2019 წლებში



წინა ორი თემატური მიმართულების მსგავსად, 2019 წელს გაუმჯობესდა მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებლებიც.


## მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები მოქალაქეთა მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების მიმართულებით 2017-2019 წლებში



მოქალაქეთა მონაწილეობა



ანგარიშვალდებულება



## რეკომენდაციები

2017 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით მიღწეული გაუმჯობესების მიუხედავად, მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიმართულებით არსებული საერთო სურათი არადაამაკმაყოფილებელი რჩება. შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი მხოლოდ 28%-ია.

არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, აუცილებელია, რადიკალური ნაბიჯების გადადგმა თავად მუნიციპალიტეტების მიერ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი

თუ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიღმა, გადამწყვეტია მუნიციპალიტეტის მენეჯმენტის პრინციპული და გააზრებული დამოკიდებულება გასატარებელი ცვლილებებისადმი. ქვემოთ წარმოდგენილი თემატური რეკომენდაციები სწორედ ასეთი მუნიციპალიტეტებისთვისაა განკუთვნილი. ისინი ეფუძნება 2017 და 2019 წლების ერთიანი ეროვნული შეფასებისას გამოვლენილ დადებით პრაქტიკებს, აღიარებულ სტანდარტებს და ექსპერტთა მოსაზრებებს.

# i

## 1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- მუნიციპალიტეტებმა უნდა განაახლონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა. მისი შემუშავებისას, სასურველია, გამოიყენონ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის და, ზოგადად, კარგი მმართველობისა და საჯარო დანებსებულებების გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკა.
- თითოეულმა მუნიციპალიტეტმა საკუთარ ვებგვერდზე უნდა შექმნას საჯარო ინფორმაციის განყოფილება, სადაც თემატურად და ღია მონაცემების ფორმატში განთავსდება შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.
- მუნიციპალიტეტები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებით. სასურველია, ვებგვერდზე განთავსდეს სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო ინფორმაცია. ეს, ერთი მხრივ, შეამცირებს მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესულ განცხადებებს, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის გამჭვირვალობის ხარისხს. ეს მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვნად დაეხმარებათ დეცენტალიზაციის ახალი სტრატეგიით გათვალისწინებული მესამე მიზნის - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება - ამოცანების შესრულებაში.



## 2. ელექტრონული მმართველობა

- ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის დონის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია, მოქალაქეები დროულად იყვნენ ინფორმირებულნი მონაწილეობის არსებული ფორმების შესახებ. ამისთვის, მუნიციპალურმა ორგანოებმა ინფორმაციის ეფექტური და დროული გავრცელების მთავარ საშუალებებად უნდა გამოიყენონ ვებგვერდი, სოციალური ქსელები და მობილური აპლიკაციები.

- მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დომენური მისამართი უნდა სრულდებოდეს gov.ge-ზე. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო მოხელეებმა სამსახურებრივი საქმიანობისთვის უნდა გამოიყენონ ოფიციალური ელფოსტის მისამართები.
- მუნიციპალიტეტებმა მოსახლეობას უნდა მიანოდოს ელექტრონული სერვისები, რაც შეამცირებს მოსახლეობის ფინანსურ და დროის დანახარჯებს და გაზრდის კმაყოფილებას. მუნიციპალიტეტს ელექტრონული სერვისების უზრუნველსაყოფად შეუძლია ასევე გამოიყენოს ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი – MY.GOV.GE და შესაბამისი ინფორმაცია და ბანერები განათავსოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. სხვა დანარჩენი სერვისების შესახებ კი ვებგვერდზე მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია.



### 3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება

- ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებულ ფორმებთან ერთად, მუნიციპალიტეტებმა პროაქტიულად უნდა იფიქრონ მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი ფორმების გამოყენებაზე, მათ შორის მონაწილეობის მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებაზე.
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საკრებულოს რეგლამენტში გაჩნდეს გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სხდომებზე დასწრებისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობას. ასევე, აუცილებელია მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ დაგეგმილი სხდომების დეტალებზე და განსახილველ საკითხებზე სხდომამდე ერთი კვირით ადრე.
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, გადანყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად უნდა იქცეს

დასახლების საერთო კრება და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, კრების ლეგიტიმაციისთვის განკუთვნილი კვორუმის ცვლილება, ასევე კოდექსით გათვალისწინებული კრების მოწვევის დეტალური რეგულაციების გაუქმება, რომელიც მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს, რომ კრების მოწვევა მათ ადგილობრივ საჭიროებას მოარგონ. ასევე, სასურველია, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო გამჭვირვალე კონკურსის გზით დაკომპლექტდეს.

- უნდა გაიზარდოს როგორც არჩეული მერის, ისე საკრებულოს წევრთა ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების მიმართ. მოქალაქეებთან საანგარიშო შეხვედრების კანონით დადგენილ ვადებში და წესით უნდა ტარდებოდეს.
- მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო ინფორმაციის გაცემის სწრაფი და ეფექტური პროცედურების დანერგვა. ასეთი ცვლილები წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის მხრიდან გამჭვირვალობის მზაობას და ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას მოქალაქეებთან, მედიასთან, ბიზნესთან და არასამთავრობო სექტორთან.

## ზოგადი სახის რეკომენდაციები

- ყოველწლიურად იზრდება ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს მუნიციპალიტეტების ჩართულობა, რაც თავისთავად ხელს უწყობს მათი გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ზრდას. კარგი იქნება თუ OGP-ის ფარგლებში ვალდებულებების აღებისას, მუნიციპალიტეტები მხედველობაში მიიღებენ **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით** გათვალისწინებულ სტანდარტებს.
- **დეცენტრალიზაციის სტრატეგიის** პროექტით, თვითმმართველობებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. გონივრული იქნება, თუ სტრატეგიის შესაბამის ინდიკატორში აისახება საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების შედეგები. ეს, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს მთავრობას ზუსტად შეაფასოს ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესი და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს **ინდექსით** გათვალისწინებული მაღალი სტანდარტების დანერგვას მუნიციპალიტეტებში.

- იმავე **სტრატეგიის** პროექტით, მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია საკანონმდებლო ჩარჩოს გადასინჯვა. მოქმედი კანონმდებლობის რევიზიის გარდა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება **ინფორმაციის თავისუფლების კანონის** მიღება, რომელიც OGP-ის ვალდებულების მიუხედავად, მთავრობას ჯერ კიდევ არ წარუდგენია პარლამენტისთვის.
- თითოეული მუნიციპალიტეტისთვის ხელმისაწვდომია ერთიანი ეროვნული შეფასების საკუთარი შედეგები, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით ცვლილებების დაგეგმვის ძირითადი საფუძველია. გაუმჯობესების ერთწლიანი ან ორწლიანი **სამოქმედო გეგმის** არსებობა ხელს შეუწყობს გაზიარებული, თანმიმდევრული ცვლილებების გატარებას და შედეგების მდგრადობას.



№	მუნიციპალიტეტი	საბოლოო შეფასება	მერია	საკრებულო
1	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	61%	63%	58%
2	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	57%	57%	56%
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	56%	38%	87%
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	55%	54%	56%
5	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	52%	56%	44%
6	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	51%	42%	64%
7	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი	49%	42%	59%
8	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	47%	54%	37%
9	თელავის მუნიციპალიტეტი	44%	38%	53%
10	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	43%	37%	53%
11	ცაგერის მუნიციპალიტეტი	41%	45%	35%
12	ახმეტის მუნიციპალიტეტი	40%	36%	47%
13	სენაკის მუნიციპალიტეტი	39%	33%	48%
14	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	38%	32%	49%
15	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	38%	37%	38%
16	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	35%	28%	47%
17	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	35%	35%	35%
18	ქედის მუნიციპალიტეტი	35%	30%	42%
19	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	34%	24%	50%
20	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	32%	30%	36%
21	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	32%	28%	38%
22	ხაშურის მუნიციპალიტეტი	31%	26%	41%
23	ვანის მუნიციპალიტეტი	30%	30%	30%
24	დმანისის მუნიციპალიტეტი	30%	30%	30%
25	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	28%	27%	30%
26	დუშეთის მუნიციპალიტეტი	28%	32%	22%
27	გორის მუნიციპალიტეტი	27%	26%	29%
28	საჩხერის მუნიციპალიტეტი	27%	24%	31%
29	ხობის მუნიციპალიტეტი	26%	20%	36%
30	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	26%	22%	32%
31	ნალკის მუნიციპალიტეტი	26%	23%	30%
32	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	26%	24%	28%

№	მუნიციპალიტეტი	საბოლოო შეფასება	მერია	საკრებულო
33	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	25%	25%	26%
34	ახალციხის მუნიციპალიტეტი	25%	22%	31%
35	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	25%	19%	35%
36	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	24%	27%	19%
37	მესტიის მუნიციპალიტეტი	24%	18%	35%
38	მცხეთის მუნიციპალიტეტი	23%	22%	26%
39	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	23%	22%	26%
40	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	22%	21%	25%
41	ყვარლის მუნიციპალიტეტი	22%	17%	29%
42	მარნეულის მუნიციპალიტეტი	22%	20%	25%
43	მარტვილის მუნიციპალიტეტი	21%	16%	28%
44	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	21%	21%	20%
45	ონის მუნიციპალიტეტი	20%	20%	20%
46	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	19%	19%	19%
47	აბაშის მუნიციპალიტეტი	19%	16%	23%
48	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	18%	17%	21%
49	კასპის მუნიციპალიტეტი	18%	17%	21%
50	ხონის მუნიციპალიტეტი	18%	17%	20%
51	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	16%	13%	21%
52	ხულოს მუნიციპალიტეტი	15%	12%	22%
53	შუახევის მუნიციპალიტეტი	15%	18%	10%
54	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	14%	13%	16%
55	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	13%	10%	18%
56	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	13%	13%	12%
57	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	11%	9%	14%
58	თიანეთის მუნიციპალიტეტი	10%	8%	12%
59	ქარელის მუნიციპალიტეტი	10%	13%	4%
60	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	9%	8%	10%
61	ადიგენის მუნიციპალიტეტი	8%	8%	9%
62	ასპინძის მუნიციპალიტეტი	7%	6%	9%
63	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	7%	5%	10%
64	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	6%	4%	11%

